დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ საწყობის ოპერირების“ დამატების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ელენე ბოდაველი
წევრები:
ნათია ბუთხუზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 12 ივნისის MES 8 24 0000652888 საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომრე - ელენე ბოდაველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ნათია ბუთხუზი - დარგის ექსპერტი - "საწყობის ოპერირება") დაევალა „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში - 2024 წლის 1 ივლისს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის სს „საქართველოს რკინიგზის" ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელთან, რომელიც უშუალოდაა ჩართული პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების განაწილებისა და სხვა საჭირო საკითხების ორგანიზებაში, ასევე თავად პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართული იქნებიან საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში. განხორციელდა როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს დათვალიერება და შესწავლა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 12 ივნისის MES 8 24 0000652888 ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტპმბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდართებთან შესაბამისობის შეფასება.თუმცა, ვიზიტის დღეს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირების"მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა, ადგილზე თავიდან შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი და შესაბამისად წარმოადგინა აღნიშნული დასკვნის პროექტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აღნიშნული წარმოების ფარგლებში საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.4

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პროგრამის ადაპტირების დროს, პროგრამის განმახორციელბლების მიერ, დამატებით შემუშავებული სასწავლო რესურსის ნუსხა აისახოს მოდულის საგანმანათლებლო რესურსის ნაწილში.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების მხრიდან გაზირებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია 2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პოზიციას რამდენიმე შესწორებასთან დაკავშირებით.
კერძოდ, ინდიკატორთან 2.4.1.5 დაკავშირებით, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია პრაქტიკის დასრულებისას გასცეს პრაქტიკის დღიური შესაბამისი დამოწმებით. პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არ ახლდა პრაქტიკის დღიურის ფორმა, რომელიც დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა, თუმცა არ ჰქონდა ხელშეკრულებასთან ერთად წარმოდგენილი. აღნიშნული ფორმა დაერთო ხელშეკრულებას.

ინდიკატორთან 2.1.1. 8 დაკავშირებით:
კოლეჯის მიერ მოდიფიცირებული ფორმით იქნა წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტი, კერძოდ, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში გაიწერა პროგრამის მიზანი. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებასაც.

პროგრამის ძირითადი ნაწილის დოკუმენტით „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების 24 მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით“. ამავე ბრძანების საფუძველზე სასურველია განისაზღვროს, რომ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა შეუძლია დაიწყოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით“ - დაწესებულებამ პროგრამის ძირითად დოკუმენტში დამატებით ასახა აღნიშნული შესაძლებლობა და დოკუმენტი მოდიფიცირებული ფორმით წარმოადგინა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებას.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2024 წლი 14 მაისის N66 ბრძანება, ცვლილება 2024 წლის 01 ივლისის N 112 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი - ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	70
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

.....

.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის N 43 ბრანებით (ცვლილება შესულია 2023 წლის 1 ივლისის N109 ბრძანებით) დამტკიცებულია ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი". წესის თანხმად, პროგრამის დამატების მიზნით, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და სხვა შესაბამისი სპეციალისტი იძიებენ შემდეგ ინფორმაციას: კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ; სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვნებლის მიხედვით და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით; შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯი ერთადერთი პროფესიული დაწესებულება, რომელიც ემსახურება საქართველოს რკინიგზის კადრებით მომარაგებას და მისი სამოქმედო არეალი მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას - სადაც გადის სარკინიგზო მაგისტრალები, მიმდებარედ კი ვითარდება ლოგისტიკური კომპანიები, კოლეჯის ადმინისტრაცია მჭირდრო თანამშრომლობაშია სს „საქართველოს რკინიგზასთან" და მათი საჭირობების განსაზღვრის მიზნით ახდენს შრომის ბაზრის ანალიზს. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება. ა(ა)იპ სარგინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მისიიდან და სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორიო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილებას სარგინიგზო ინდუსტრიაში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის წინაპირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითრებისაკენ. ამასთან, პროგრამის მიზანშეწონილობა დასაბუთებულია უშუალოდ სს „საქართველოს რკინგზასთან" კომუნიკაციის საფუძველზე, გამოკვეთილი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნის შესაბამისად. ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებით და საერთაშორისო თანამშრომლობის ფაგრლებში აღებული ვალდებულებებით (რაც თავისთავად გულისხმობს ისტორიული აბრეშუმის გზის, იგივე TRACECA-ს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას). დასაბუთება ასევე ეყრდნობა საქართველოს 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგიის მთავარ ხედვას, საქართველოს, როგორც რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბების თაობაზე; შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემებს; პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებულ უკუკავშირს; დასაქმების პლატფორმების ანალიზს; კოლეჯის მიერ ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს; კურდამთავრებულთა კვლევის შედეგებს და სხვა. შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 მაისი N 66 ბრძანებით (მოდიფიცირებულია 2024 წლის 01 ივლისის #112 ბრძანებით) დამტკიცებული ,,საწყობის ოპერირების" საგანმათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკიცებულია დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის #5 ბრძანებით. ცვლილება შესულია 2024 წლის 25 ივნისის N 104 ბრძანებით) და ეყრდნობა 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ დამტკიცებულ ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს". სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები; დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და აპლიკანტთა რეგისტრაცია; აპლიკნტთა შერჩევა; შერჩევის პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამის დონისა და განხორციელების ფორმის მიხედვით; ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება; სსსმ პირთა ჩარიცხვის წესი და პროცედურა და სხვა. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით: კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებულია (ცვლილება განხორციელდა 26.04.2024 წლის №49 ბრძანებით) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: A და B გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, C გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ადგილების რაოდენობას. რამდენიმე საწარმოსთან თანამშრომლობის შემთხვევაში ადგილების ჯამური რაოდენობას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსს; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო აღჭურვილობას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოლეჯის ან საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე. საწარმოო პრატიკის ობიექტები უნდა ითვალისწინებდნენ პროფესიული სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ორცვლიანი სწავლება. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტთა დადგენილი ზღვრული რაოდენობების ჯამით, მათ შორის რეგიონალური ჰიბრიდული ცენტრების რესურსის გათვალისწინებით. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 70 ადგილიანი კვოტა ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებას გეგმავს 30 და 40 კაციანი ჯგუფების მიღებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის დამატების პირველადი განაცხადით აღნიშნული კვოტიდან 40 ადგილი განკუთვნილი იყო არაინტეგრირებული, ხოლო 30 ადგილი პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებისათვის და დაწესებულებას თითო მიღებაზე ეყოლებოდა 30 პროფესიული სტუდენტი, სამი 10-10 კაციანი ჯგუფი და კონტიგენტის განსაზღვრის აღნიშნულ გარემოებას ეყრდნობოდა. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა სივრცეების გამტარინობის დასაბუთება. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ კოლეჯს შეუძლია ერთ მიღებაზე ოთხი 10 კაციანი ჯგუფის გამტარიანობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე.**

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ათკაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა, თუმცა პროგრამის განმახორციელებლეთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მათ დამატებით შემუშავებული აქვთ სასწავლო რესურსის ნუსხა, რომელიც არ არის მოდულის შესაბამის ბლოკში ასახული. **ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პროგრამის ადაპტირების დროს, პროგრამის განმახორციელბლების მიერ, დამატებით შემუშავებული სასწავლო რესურსის ნუსხა აისახოს მოდულის საგანმანათლებლო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რესურსის ნაწილში. კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის არსებობს სათანადო ინვენტარითა და აღჭურვილობით მოწყობილი ინტეგრირებული იმიტირებული გარემო. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კოლეჯში. საგანმანათლებლო რესურსი - სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე, კოლეჯს შეძენილი აქვს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა Software Carlo, რომელიც ხელმისაწვდომია სპეციალურ ინტეგრირებულ სასწავლო გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის წესდების მე-5 მუხლისა და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საწყობის ოპერირება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 მაისის №66 ბრძანებით (მოდიფიცირებულია ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 01 ივლისი N112 ბრძანებით) შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საწყობის ოპერირება“ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - ,,საწყობის ოპერირება“. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს: აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები; აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები; მიიღოს საქონელი საწყობში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში; დაასაწყობოს საქონელი; ააგროვოს საქონელი; გასცეს საქონელი საწყობიდან; აღრიცხოს საქონელი საწყობში. პროგრამის დასახელება და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „საწყობის ოპერირება“. ამასთან, კოლეჯმა წარმოადგინა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი პროფესიული პროგრამის 'საწყობის ოპერირების“ დამატების თანხმობის შესახებ. დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესით“ განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 15.04.2024 წლის N46 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ შემუშავების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ, აღნიშნული კომისიის სხოდმის ოქმი (ოქმის N1, 17.04 2024). ოქმით დგინდება, რომ შეიქმნა პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი. პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელბელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩარული იყვნენ აღნიშნული პირები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ შესახებ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშე. პროგრამის პაკეტში ფიქსირდებოდა რამდენიმე უზუსტობა. მაგალითად. ქართული ენა A2 და B1 გავლის საფუძვლად მითითებული იყო „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მისნიტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისი მუხლები. გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზს წამოადგენდა და ვიზიტის დროსვე მოახდინეს მისი გამოსწორება. კერძოდ, ქართული ენის მოდულების სწავლების საფუძვლად დოკუმენტში „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანება მიეთითა. ასევე ყველა მოდულის შემთხვევაში მე-4 პუნქტის „დამატებით მიდგომები მოდულის განახორციელებასთან დაკავშირებით“ მითითებული იყო, რომ „მოდულის ყველა სწავლის შედეგი შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, დადასტურება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე“. აღნიშნული საკითხის განხილვისას კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩანაწერში მოდულის ყველა თეორიული სწავლის შედეგის განხორციელება იგულისხმება და სიტყვა „თეორიული“ მექნიკურადაა გამორჩენილი. აღნიშნული უზუსტობაც ვიზიტის მსვლელობისას გამოსწორდა. ამრიგად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,საწყობის ოპერირების“ საგანმათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება;
- კოლეჯის წესდება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ დამტკიცების დოკუმენტი;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი პროფესიული პროგრამის ‘საწყობის ოპერირების“ დამატების თანხმობის შესახებ;
- კოლეჯის დირექტორის 15.04.2024 წლის N46 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ შემუშავების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ, კომისიის სხოდმის ოქმი (ოქმის N1, 17.04 2024), სასწავლო და პრაქტიკის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი.
- საგანამანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირების“ სასწავლო გეგმა;
- გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,კერძოდ: ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B , C გარემოები. კომპიუტერული კლასი სპეციალური კომპიუტერული უზრუნველყოფითა და თეორიული სწავლების სივრცით, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფით, ჯგუფში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად (10 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამას დამატებით ემსახურება საგნობრივი თეორიული სწავლების აუდიტორიები. პროგრამის დამატებისა და განვითარების პროცესში, კოლეჯი ახდენს საჭირო რესურსებისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის იდენტიფიცირებას /გადახედვას/შევსებას დარგის მოთხოვნათა შესაბამისად. კოლეჯში მოწყობილია ერთი ინტეგრირებული/სიმულაციური გარემო სადაც გაერთიანებული A, B , C გარემოები. აღნიშნული სივრცის აღჭურვილობა გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან. ასევე განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 7 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 70. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ცხრილები. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს, რამდენიმე განმახორციელებელი კვალიფიკაციითა ან/ და სამუშაო გამოცდილებით. საფრთხე არ იქმნება პროგრამის უწყვეტად განხორციელების. ყოველი ახალი პროფესიული სტუდენტების ნაკადის მიღების შემდეგ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვების განახლებას, ამასთანავე, მათი კვირეული საათობრივი დატვირთვის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მათ მიერ ჩასატარებელი საკონტაქტო საათები, არამედ შეფასების ინსტრუმენტების შესაქმნელად, სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში, ვერიფიკაციის პროცესში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, სასწავლო მეთოდური მასალების დახვეწისა და განვითარებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისათვის საჭირო დრო.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ვიზიტის დროს, განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც. მათ კვალიფიკაციას ადასტურებს დიპლომები და სერთიფიკატები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც მითითებულია თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი და მისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც არჩეულ იქნა განმახორციელებლად. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარების ღონისძიებებში. გავლილი აქვთ ტრენინგები სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებში ,,სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით", კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ მოწყობილ, საერთაშორისო პარტნიორობით დაგეგმილ სწავლებებში, როგორც პირისპირ ისე დისტანციურ ფორმატში.

ამასთან, კოლეჯის სამოქმედო გეგმებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლების მეთოდებისა და შეფასების კომპეტენციების მიმართულებით.

შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,საწყობის ოპერირება" ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის შესწავლით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პარალელურად დარგის მოქმედი პრაქტიკოსია. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"32-ე მუხლით. სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძრვანელის პირადი საქმის შესწავლით და მასთან გასაუბრებიუთ დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენიციის მქონე ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემაში OpenBiblio, პროფესიულ სტუდენტს აქვს წვდომა ელექტრონულ კატალოგთან და სასწავლო რესურსების ელექტრონულ ვერსიებთან, რომელიც თავად შეუძლია მოიძიოს OpenBiblio-ს სისტემაში. გარდა ამისა, კოლეჯს აქვს სხვადასხვა ვიდეო/ვიზუალური სახის სასწავლო რესურსი, რომელიც თავმოყრილია დაწესებულების ბიბლიოთეკართან ელექტრონული სახით. საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი პროფესიულ სტუდენტებს უგზავნის აღნიშნულ მასალებს. კოლეჯს, ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, სამუშაო ადგილებით, ასლგადამღები აპარატით, პრინტერით, ასაკინძი საშუალებით.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:
დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. კერძოდ, კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფით, რისთვისაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, ისე შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვას. წესით გაწერილია სსსმ პირებისათვის ინდგეგმის შედგენის მექნიზმიც. კოლეჯს ამ დრომდე არ ჰქონია სსსმ პირისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება, თუმცა არსებული რეგულაცია, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ასეთი გეგმის შედგენას.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯი იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. ასევე, კოლეჯის ოპერირების ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობიის სამინისტრო და სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი - 10 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი 70 პროფესიული სტუდენტია ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების სახეობას და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეულის უზრუნველყოფის ხარჯებს, ადმინისტრირების ხარჯებს, საქონელისა და მომსახურების ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები;
- ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების სამოქმედო გეგა 2024;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ საპროგნოზო ბიუჯეტი;
- მატერიალური რესურსი ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, შესყიდვის, მიღება-ჩაბარების დკუმენტაცია.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ცხრილები;
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (2016 წლის 16 სექტმბრის ბრძანება N5, ცვლილება შესულია 2024 წლის 26 აპრილის N56 ბრძანებით) ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომლის ერთ-ერთი მიზანიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და გაუმჯობესებაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხარისხის უზრუნველყოფის წესი მოიცავს ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე - განავითარე“. ამასთან კოლეჯში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (დამტკიცებულია 2018 წლის 25 მაისი N43 ბრძანებით, ცვლილება შესულია 2024 წლის 01 ივლისის N109 ბრძანებით), რომლის მე-6 მუხლი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმს, ხოლო მე-7 მუხლი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას არეგულირებს. წესის თანხმად, კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ემყარება განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებს. შიდა მექანიზმების სისტემა ემყარება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით კოლეჯის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ემყარება სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას. როგორიცაა მაგ. „პროფესიული სტუდენტის კითხვარი“, „პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი“, „დამსაქმებლის კითხვარი“, „კურსდამთავრებულთა კითხვარი“. შეფასება ხორციელდება გამოკითხვით. კითხვარი ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პროგრამის შინაარსი, ხანგრძლივობა , შეფასების სისტემა, სასწავლო და მატერიალური რესურსი და სხვა. დამსაქმებლის შემთხვევაში აქცენტირებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სხვა. პროგრამის შეფასების სისტემას ექვემდებარება პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური და დამხმარე თვალსაჩინოების არსებობის საკითხი; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სიტემის ადეკვატურობა, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი. პროგრამის განვითარების ნაწილში - დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით შეიმუშავებს პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. პროგრამის შეფასების ნაწილი მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა - პროგრამის შეფასების შინაარსობრივი ასპექტები; სწავლა-სწავლების მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობისა და ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ: კოლეჯში მოქმედი ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი და „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს მის მიერვე განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კოლეჯის ძირითადი დამსაქმებლის სს“საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩართული არიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი, ასევე, შესაძლებელია, იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცი(ებ)ა, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება ცენტრს.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი;
- „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“;
- პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა უზრნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; კოლეჯს შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა,. დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 31-ე მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა წარადგენს კალენდარულ გეგმას, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ,,საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა, რომელშიც მოდულების დალაგებულია ლოგიკური თანამიმდევრობით. სასწავლო გეგგმა ითვალისწინებს ყოველკვირეულ დატვირთვას, დასვენების კვირებს და ა..შ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლა გრძლედება 20 თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 25 თვე. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამისათვის „საწყობის ოპერირება“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ფიქსირდებოდა მცირე უზუსტობა, კერძოდ, მოდულის დასრულების შემდგომ გათვალისწინებული სწავლის შედეგის დადასტურება წინ უსწრებდა მოდულის დასრულებას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხახსიათის ხარვეზს წარმოადგენდა, რაც ვიზიტის დროსვე ჩასწორდა. შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისი ღონისძიების განხორციელება. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება სასწავლო ცხრილების შესაბამისად. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით ყოველკვირეულად სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის პასუხისმგებლობით და განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე
ინდივიდუალური საჭირობებისათვის ან მცირერიცხოვანი ჯგუფების შემთხვევაში, როცა პროფესიულ სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში ნაკლებია რენტაბელობის ზღვარზე, შესაძლებელია ჯგუფების გაერთიანება ერთი და იმავე სარეგისტრაციო ნომრის მქონე მოდულების გავლის მიზნით, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გაერთიანებულ ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 15-ს და აცდენა მოდულის დაწყების ვადაში არ უნდა აღემატებოდეს 2 კვირას. გაცდენილი დროის კომპენსირება მოხდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური კონსულტირების გზით. სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში“, უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ ჯგუფურ სასწავლო ცხრილს საკონტაქტო საათების 3 დღეზე, მათ შორის 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილების გზით.გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრულია ინდ. გეგმის შედგენის საფუძვლები, რაც ადასტურებს კოლეჯის მზაობს, მოქნილად განახორიციელოს საჭირო ქმედებები პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დასაცვად. ამასთან, ფორსმაჟორის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის კორექტირებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** ზოგადი და დარგობრივი მოდულების სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდების გამოყენებას როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა იმიტირებულ გარემოში ან პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკული დავალება, პრეზენტაცია, დემონსტირება, დისკუსია, ე.წ. CASE STUDY, როლების განაწილება და სხვა. ამასთან, დაწესებულება აღჭურვილია დარგის შესაბამისი უახლესი ტექნოლოგიებით, რამაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების ეფექტიანობა.
კოლეჯის სამოქმედო გეგმების და სამოქმედო გეგების შესრულების ანგარიშებით დგინდება, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვლიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გამოიხატება საჭიროებების დადგენითა და პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებით, მათ შორის სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები შესწავლით დასტურდება, მოდულების განამახორციელებელ პირთა კვალიფიციურობა სწავლებისა და შეფასების თანემდროვე მიდგომების გამოყენების მიმართულებით. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მოდულების განამხორციელებელ პირთა ნაწილი დარგის პრაქტიკოსია. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 28-ე და 29-ე მუხლები არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურასა და სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირების მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია ინდ.გეგმის შედგენის საფუძვლები (სსსმ პირი, რომელიც ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, სტატუსი აღდგენილი პროფესიული სტუდენტი და სხვა), ინდ. გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობები, ინდ.გეგმის შემუშავების ვადები და სხვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის ასისტენტის, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლების მეშვეობით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:**

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან და სს“გუდვილი“-თან ავტორიზაციის ვადით. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ- ჩვევების გამომუშავებას, შესაბამის სფეროში დარგობრივი უნარების გაღრმავებას. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთ პუქნტებს, როგორიცაა მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულები (პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი საათების მითითებით, სწავლის შედეგების დადასტურების კორდინაციის საკითხი, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტუდენტის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, ხელშეკრულება გაფორმებულია ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაზე მიღების პირობით. პრაქტიკის ობიექტზე არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსი ჩამონათვალი და სხვა.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯის დირექტორის 27. 05.2024 წლის N80 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ განხორციელებისათვის უსაფრთხოების სპეციფიური ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, საწყობი მიეკუთვნება მომატებული საფრთხის შემცველ ტერიტორიას და საწყობში მუშაობა შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკის შემცველი საქმიანობაა. დოკუმენტში გაწერილია რისკები, საწყობში უსაფრთხო მუშაობისათვის გასათვალისწინებელი წესები, სამუშაოს შესრულებისას არსებული მოთხოვნები, საკონტეინერო ეზოს ტერიტორიაზე ავტომობილების გაყვანის ზონაში შესვლისას აუცილებელი უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგები ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რისთვისაც კოლეჯს განსაზღვრული და თვალსაჩინოდ გამოკრული აქვს უსაფრთოხების ნორმები. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება თავის მხრივ ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიას. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე პირველივე ვიზიტისას უტარდება უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებული ინსტურქტაჟი, რაც დადასტურდება ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალით. შესაბამისად, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების სამოქმედო გეგმები 2020-2023;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები (სს „საქართველოს რკინგზა“ და სს“გუდვილი“);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- კოლეჯის შრომის უსაფრთხოების დოკუმენტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საწყობის ოპერირებისა“ და „ტვირთების ექსპედირების“ განხორციელებისათვის უსაფრთხოების სპეციფიური ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- გასაუბრება;
- დათვალირების შედეგი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის N 30 ბრძანებით (ცვლილება 2024 წლის 01 ივლისის N 111 ბრძანება) დამტკიცებულია ა(ა) იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი. დოკუმენტის თანხმად, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ამასთან წესი არეგულირებს შემდეგ საკითხებს: შეფასების ინსტრუმეტის შერჩევა (ინსტურმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას. დამტკიცებულია შეფასების სტრუქტურის ფორმაც), შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა, რომლითაც განსაზღვრულია შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და შემუშავების ვადები, ვერიფიკაციის პროცედურა, შეფასების მტკიცებულებების ადმინისტრირების საკითხი, შეფასების გაფორმება, შეფასების შედეგების პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის გამოყენების საკითხები, ასევე პროფესიული სტუდენტის შეფასების, შეფასების დადასტურებისა და გასაჩივრების მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება; სტუდენტის ინფორმირება. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დებულების (დამტკიცებულია კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დირექტორის 2020 წლის 27 იანვრის N4 ბრძანებით, ცვლილება შესულია 2024 წლის 26 აპრილის N 52 ბრძანებით) გაწერილია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების სიტემა.
ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** ა(ა) იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-6 მუხლით გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურა, რომლის თანახმადაც ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება კოლეჯის მიერ წინასწარ განსაზღვრული რისკების სიტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტის გათვალისწინებით. ვერიფიკაცია ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით, დადგენილი სქემის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია პროცესის ეტაპები, მათზე პასუხისგმებელი და პროცესში მონაწილე პირები. აღნიშნულ სქემაშივეა გაწერილი ვერიფიკაციის სამივე მიმართულების - შეფასებისას გამოყენებული ინსტუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის მექანიზმები. წესი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენის პროცედურასაც. კერძოდ, ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** ა(ა) იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მე-7 და მე-8 მუხლები არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესებს. განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი, მტკიცებულების წარდგენის დრო როგორც ძირითადი, ისე განმეორებით შეფასების შემთხვევაში. წესის თანახმად, შეფასების მტკიცებულება კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯრთან. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს, სადაც ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. პროფესიული სტუდენტის შეფასება ფორმდება უწყისით, რომელიც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უვადოდ.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:** კოლეჯში მოქმედი, დირექტორის მიერ დამტკიცებული ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმების თანახმად, (დამტკიცებულია 2021 წლის 8 ივლისის N57 ბრძანებით, ცვლილება შესულია 2024 წლის 26 ივლისის N51 ბრძანებით) პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისაგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც პროფესიული განათლების მასწავლებლები, საჭიროების მიხედვით ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაიო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთაც პრობლემები აქვთ სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული მასწავლებელი ახდენს სტუდენტის ინფორმირებას სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობებს. ამასთან. მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი წარადგენს პროფესიული სტუდენტის დახასიათების, რომლის ანალიზის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელი საზღვრავს პროფესიული სტუდენტის საჭიროებებსა და მისი განვითარების გზებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა) იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი;
- პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დებულება;
- სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი
31.07.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------